№ 209

სამშაბათი, 26 სექტემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მ. | კ. | თვე | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 6 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 209

სამშაბათი, 26 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 28 სექტემბერს.


**იაგორ სანიკიძე, უთუია და სიკო ცანავები** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ უეცარს გარდაცვალებას ძმისას,

**პლატონ იოსების ძის ცანავასას,**

სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად სოფელ ცაიში შაბათს, 30 სექტემბერს, 6 საათზედ.

(1—6.—1)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძისა და ნაჭრობით.

(50—6.—28) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის დიღმის სარდაფებში

## გასასყიდია 7,000 ვედრო

საუკეთესო ღვინოებისა.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოურავს ი. ა. გუნცაძეს სოფ. დიღომში.

(5—184—4)

ამა წლის 7 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ, ქალაქის სახლში, ერევნის მოედანზედ,

## მოხდება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## საგანგებო კრება,

რომელზედაც არჩეულ იქმნებიან კანდიდატნი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ.

ამავე კრებაზედ განხილული იქმნება ზოგიერთი საგნები, რომელებიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მამულის გამგეობას შეეხება.

ვიწვევთ რა თავად-აზნაურთ საგანგებო კრებაზედ, ვთხოვთ იმათ, ვისაც წარსულ მარტში მომხდარ საგუბერნიო კრებაზედ მონაწილეობა არ მიუღიათ, თავიანთის ცენზის დამამტკიცებელი საბუთების ქაღალდები წარუდგინონ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საგანგებო კრების დაწყებამდე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი

(3—6.—2) საგინაშვილი

## სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშევისა, (10—188—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворощову.

## ბუღალტერი,

რუსეთში კომერციულ განათლებამიღებული,

პრაქტიკულად მცოდნე: მეურნეობის, ბანკების, აქციონერთა საზოგადოების, ფაბრიკა-ქარხნების, ქალაქისთვით-მართველობათა, სახელოსნოების და სხვა დაწეს. ბუღალტერიისა—ყოველნაირ არსებულ სისტემაზე, ეძებს ადგილს. მიმართეთ ვ. ყ—ვს, ჭავჭავაძის ქუჩა, № 24, საკუთარს სახლში, საღამოს 6 საათიდგან.

(3—194—1)


## ახალი ამბავი

*** სათავად-აზნაურო თეატრის შეკეთება უკვე დასრულებულია და, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, პირველ ოქტომბრიდგან კიდევაც დაიწყებენ წარმოდგენებს.

*** სათავად-აზნაურო თეატრში დამდეგის თვის პირველ რიცხვებიდგან რუსული დრამატიული წარმოდგენები დაიწყება ცნობილის არტისტის ბ-ნი დალსკის მეთაურობით.

*** ქართული წარმოდგენების რეპეტიციები 27 სექტემბრიდგან დაიწყება. დასი უკვე შეუდგენიათ. პირველი წარმოდგენა დანიშნულია 12 ოქტომბერს და წარმოადგენენ „ვაი ჭკუისაგან“, განდეგილის ნათარგმნია.

*** ამას წინად ქალაქის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა, რომ ნება დაგვრთეთ მუშტაიდის ბაღის გზაზედ ფარნები დავდგათ ქალაქის საფასითაო. მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულმა შეატყობინა, რომ სამინისტრომ შეიწყნარა ესე თხოვნა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამის წლის ვადით იკისროს ქალაქმა ამ გზის განათება, თუ რაიმე საჭიროება შეიქმნა, სახელმწიფო ქონებათა მმართველობას შეუძლიან ამ ვადის გასვლამდეც თითონ იკისროს ზრუნვა მუშტაიდის გზის განათებისა.

*** ამ ორის თვის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრები ალექსანდრე მარიამიძისა, რომელიც დამნაშავედ იცნო, რომ კანატოვის ქალი ძალით გაუპატიურებიაო, და 4 წლის ვადით კატორგაში გაგზავნა გარდაუწყვიტა. მარიამიძემ საქმე გადიტანა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ, 25 სექტემბერს, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** როგორც შევიტყეთ, ჩვენის ახალგაზრდა პოეტის გრ. აბაშიძის ლექსები მალე ერთად თურმე დაიბეჭდება.

*** კვირას, 24 სექტემბერს, ავჭალის სახალხო კითხვათა სადგომში სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს დრამა „პარიჟელნი ღატაკნი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხი იმდენად ბევრი მიაწყდა, რომ უადგილობისა გამო ნახევარზედ მეტი უკან დაბრუნდა.

*** სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში მალე თურმე განიხილვენ იმ კითხვას, რომ აკადემიის მეორე და უმაღლესს კურსებზედ უნივერსიტეტების სამკურნალო ფაკულტეტიდგან მიიღონ ხოლმე ის სტუდენტები, რომელთაც საშუალო სწავლა სემინარიაში მიუღიათ. ეს საგანი კანონით აღკრძალული არ არის და იმედია, კონფერენციაც სასურველად გადასწყვეტს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ იგი ვერავითარს მონაწილეობას ვერ მიიღებს დიდხევზედ წვიმის წყლის სადენ არხის გაყვანის ხარჯში, რადგანაც ეს ჩვენ ვალდებულებად არ მიგვაჩნიაო.

*** სენატმა განმარტა, რომ სათავად-აზნაურო კრებებსა და არჩევნებზედ თავად აზნაურთა დასწრებისა და მონაწილეობის მიღების უფლებათა განხილვა სამს წელიწადში ერთხელ უნდა ხდებოდეს თავად-აზნაურთა მორიგ საგუბერნიო კრების გახსნამდე და არა თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედაო.

*** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, საქონლის ჭირი ამ ჟამად ტფილისის გუბერნიის 29 სოფელში თურმეა გავრცელებული.

*** როგორც გვატყობინებენ, ჟანდარმთა სამმართველოს ბაქოს განყოფილების უფროსი ბ-ნი გამრეკლიძე ქუთაისის განყოფილების უფროსად დაუნიშნავთ.

*** სოფლის ნორმალურ სასწავლებლებისათვის კავკასიის საეროზო თანხიდგან გადაუდვიათ: ტფილისის გუბერნიისათვის 4,500 მან., ქუთაისისა—4,700 მან., ერევნისა—15,600 მან., განჯისა—16,300 მან. და ბაქოს გუბერნიისათვის 15,900 მან. ყარსის ოლქისათვის 2,100 მან., ხოლო დაღესტნისა და ზაქათალის ოლქისათვის შვიდას-შვიდასი მანეთი.

*** მიმდინარე წლის დამლევს სასჯულო საქმეთა სამინისტროში განიხილვენ საკითხს იმის შესახებ, მომავალშიაც ძლიონ თუ არა მსურველთ უფლება კერძო ვექილობისა. როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, განზრახვა თურმე აქვთ ამიერიდგან რაც შეიძლება შეზღუდონ ეს წესი კერძო ვექილობის უფლების მიღებისა და დასტოვონ მხოლოდ იმ ადგილებისათვის, რომლებიც ოლქის სასამართლოებზედ დაშორებულნი არიან და მოთხოვნილება-კი კერძო ვექილებისა დიდია, იმათ, ვისაც უკვე მიუღია ეს უფლება, შემდეგშიაც არ გამოეწირებათ იგი.

*** საპატიმროთა უწყებაში ლაპარაკია აღძრული, რომ უკვე არსებულ საპატიმროთა გასაფართოვებლადა და ახალ საპატიმროთა ასაშენებლად 14 მილიონი მანეთი იქმნეს გადადებული. ეს გარემოება ნაყოფია იმ ახალ კანონისა, რომლითაც ციმბირში გადასახლება გაუქმებულია.

*** როგორც საპედაგოგიო წრეებში ხმა დადის, მალე თურმე განიხილავენ იმ კითხვას, რომ გიმნაზიების პროგრამაში სჯულის ცოდნისა (Законовѣденіе) და საბუნებისმეტყველო ისტორიის სწავლება შეიტანონ, როგორც სავალდებულო საგნები.

*** რადგანაც სამთო მრეწველობა თან-და-თან უფრო ვითარდება და იზრდება აზიაში, სამთო უწყებას გარდაუწყვეტია რამდენიმე საშუალო სასწავლებელი გახსნას, საიდგანაც კურს დამთავრებულნი ტეხნიკოსთა თანამდებობას შეასრულებენ. აღნიშნულს უწყებაში ამ ჟამად უკვე აურჩევიათ საგანგებო კომისსია, რომელმაც ამ ახალი ტიპის სკოლების პროგრამმა უნდა შეადგინოს.

*** როგორც გვატყობინებენ, ტფილისის საბაღოსნო სკოლაში მისაღები (საკონკურსო) გამოცდა 13 და 14 ოქტომბრისათვის თურმეა დანიშნული.

*** წარსულ წელთა მაგალითისამებრ, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ 1901 წ. იანვარში მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო განათლების მოღვაწეთა მორიგი კრება მოხდეს. კრების პროგრამაში შეტანილია შემდეგი საგნები: 1) განხილვა სასკოლო მეურნეობის ორგანიზაციისა, 2) ორგანიზაცია პრაქტიკულ მუშაობისა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში და სხ. ინსტიტუტის პროფესსორები სოფლის მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის შესახებ კრებას რამდენიმე ლექციას წაუკითხავენ. კრებაზედ დასწრება ყველა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების წარმომადგენელთ შეუძლიანთ.

*** ზოგიერთი მღვდელი ქორწინების მოწმობის გარდა, რომელსაც ჩვეულებრივ მღვდლები აძლევენ, სოფლის მამასახლისებისა და სამმართველოებიდგანაც თხოულობენ თურმე მოწმობებსა და უამისოდ მსურველთ ჯვარს არა სწერენ. ამისა გამო განმარტებულია ახლა, რომ არც მღვდლებმა უნდა მოითხოვონ ასეთი მოწმობები და არც სოფლის მამასახლისებსა და სამმართველოებსა აქვთ უფლება, რომ მოწმობები აძლიონ.

*** რადგანაც კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში თავისუფალი ადგილები საკმაოდ მოიპოვება, ამისა გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აპირებენ რაც შეიძლება მალე შეუდგნენ იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რომლითაც განზრახვა აქვთ აღნიშნულს ადგილებში დასახლების საქმე ადგილობრივის კულტურისა და ცხოვრების მიხედვით მოაწყონო, სწერს გაზ. „Новости“.

*** როგორც გაზ. „ჩერნომ. ვ.“ იუწყება, ტფილისისათვის კარგად ცნობილი არტისტი ნ. ა. ბიაზი 16 სექტემბერს გარდაცვლილა ოდესაში.

*** „ნოვოე ობოზრ.“-ს ატყობინებენ ქუთაისიდგან, რომ იქ ადგილობრივის რეალურ სასწავლებლისათვის საკუთარ შენობის აგებას შესდგომიან. საერო განათლების სამინისტრომ ამ საგნისათვის საჭირო ფული უკვე გადასდოო.

*** სოფ. მიზური (კავკავის მაზრა). მარიამობისთვის ოც-და-რვას სადამოს ცხრა საათზედ აქ დაიწვა აქაური მადნების სახელოსნო. საქმე ასე იყო: სახელოსნოში, მანქანების ჩამოსხმა-კეთებაზედ, მომეტებულ ნაწილად ბენზინს ხმარობენ. ამ სადამოსაც ერთმა ოსტატმა გაჰკრა წუმწუმს თუ არა, წუმწუმს მოკიდებული თავი მოსწყდა, გადავარდა იატაკზედ, სადაც ბენზინი იყო დაღვრილი და ერთბაშად იფეთქა. ცეცხლი თვალის დახამხამების უმალ მთელს იატაკსა და მთელს შენობასაც მოედო. აქვე იდგნენ ბენზინით სავსე ჭურჭლები; ცეცხლი ამათაც მოჰხვდა, დასკდნენ და სულ სამი საათის განმავლობაში მთელი შენობა შთანთქა ცეცხლმა. როგორც კავკავის მაზრის მესამე ნაწილის უფროსმა მიამბო, ამ მთამადნების ამხანაგობას სახელოსნოს დაწვით 3600 მან. ზარალი მოსვლია.

ამავე სოფელში, წინა კვირაში, ერთი ქიშტი ცხენით მდ. არდონში თურმე გადიოდა; ცხენი წაექცა და ქიშტი დაიხრჩო.

—

**შეცდომის გასწორება.** ნ. ა.-ს მიერ წარმოდგენილს ქართულ სალექსიკონო მასალაში შეცდომით

| დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|
| ბიბა—ქესა, ბობრი. | ბიბა—ქერა, ბობრი. |
| ბორკა. | ბორდა. |
| დაკაწიწება. | დაკაპიწება. |
| დაბანძვა. | დაძანძვა. |
| კაბარყული (ქაბარყული). | კაბარყული (ჯაბარყული). |
| ნიდო. | ნიდაო. |
| სამჭიდობელი. | სამჭიროზელი. |
| ტახტი. | ტახტა. |
| ჭიჭილა. | ჭინჭილა. |

## წერილი ოსეთიდგან

აქეთ 1869 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ რამდენიმე სკოლა გახსნა, მაგრამ, როგორც მოხუცები გადმოგვცემენ, იმ დროს ოსებში სკოლას სხვა თვალით უყურებდნენ და თუ აძლევდა ვინმე სკოლაში ვაჟს, ისიც ვისსმე შეგნებულ კაცის თხოვნითა და ჩაგონებითაო; ქალების სწავლაზედ-კი რჩევას იმ დროის ოსები სიცილითაც არა კმარობდნენო. მას აქეთ რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენი სწავლა-განათლების სურვილი თანდათან ძლიერდებოდა ოსებში და დღეს სულ უკანასკნელს სამრევლოს ვერა ჰნახავთ მთაში და ბარათ, რომ სკოლა არა ჰქონდეთ და ორი, სამი მასწავლებელი არა ჰყავნდეთ. დედათა განათლებას-კი ამ ათის წლის წინადაც თითქმის კიდევ საეჭვოდ უყურებდნენ და ამბობდნენ: „ქალს სწავლა რად უნდა; ქალმა რომ სკოლაში ისწავლოს, სახლის საქმეს აღარ გააკეთებს, მოხათრება-მორიდება აღარ ექნება და გაირყვნებაო“. დღეს-კი სულ სხვასა ვხედავთ ოსეთში. სოფ. ნებითი-ქრისტიანში ერთი ორ-კლასიანი ვაჟების საეკკლესიო სამრევლო სკოლა აქვთ, ერთი ქალებისა და სამიც წერა-კითხვისა (1000 კომლამდე მცხოვრებია), ჰყავთ შვიდი მასწავლებელი, რომელთაგანაც სამს თავიანთ ხარჯით ინახავენ. რადგანაც წელს სწავლის სურვილით გატაცებულს სოფელს შვიდი მასწავლებელი ვეღარა ჰყოფნის, ენკენისთვის 13-ს განაჩენი დაადგინა სოფელმა, რომ ყველამ 1 მან. და 50 კ. იხადოს, ვისიც ვაჟი ან ქალი ივლის სკოლაშიო. ამ ფულით ორი მასწავლებლის თანაშემწე ვაჟებისათვის და ერთიც ქალებისათვის მოვიწვიოთ, თითოს წლიწადში 120 მ. ჯამაგირი მივცეთ და დანარჩენი ხარჯიც ჩვენი იყოსო. ამ ნაირად ამ ახალი თანაშემწეების *) დახმარებით, სოფ. ნებითი-ქრისტიანის სკოლებში 140 ვაჟის და 60 ქალის მიღება კიდევ შეიძლებოდა. (სულ იყო 460 მოსწავლე) ყმაწვილების მიღების დღე 18 და 19-ს ენკენისთვეს დანიშნული იყო. პირველ დანიშნულ დღეს მარტო ვაჟების მიღება გათავდა. 19-ში შეიკრიბნენ 300 სულზედ მეტი პატარა ქალები თავიანთი მშობლებით. რადგანაც მსურველი სამ-ოთხ წილად იმაზედ მომეტებული იყო, რამდენის მიღებაც შეიძლებოდა, ამიტომ გამოარჩიეს კენჭის ყრით მარტო იმათი ქალები, ვისიც დღეს ამ სკოლებში არც ვაჟი და არც ქალი არა სწავლობს და სულ შესდგა 117 ქალი. დაიწყო კენჭის ყრა. შემოეხვივნენ გარს როგორც მშობლები, ისე პატარა ქალები კენჭის მყრელთ და ყველა სულ განაბული მოელოდა, აცა ან ეხლა ამოვა ჩემი სახელი, ან ეხლაო. რამდენი კენჭიც ამოვიდოდა, იმდენი მიღებულ პატარა ქალების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აი, ცოტა-ღა უკლია სამოცი კენჭის შესრულებასა და ასტყდა ჩოჩქოლი მშობლებს შორის. ყველა გულის ფანცქალით მოელოდა, აბა ჩვენში ვინ უფრო ბედნიერი გამოდგება და ეს უკანასკნელი კენჭი ვის შეხვდებაო. ის დედები ოსებისა, რომელნიც ხუთი ექვსი წლის წინედ ქალების სწავლა-განათლებას ეჭვის თვალით უყურებდნენ, დღეს ერთმანეთს ეცილებოდ-

*) თანაშემწეებათ აქაურ ორ კლასიან სკოლაში სწავლა-დამთავრებულთ იწვევენ 120 მანეთად.

# ფელეტონი

### მოთხრობა

მ. გორკისა

(თარგმანი რუსულიდგან)

ჩვენ გვსურს გიამბოთ ისეთი ამბავი, რომელიც ბელეტრისტიკულ მოთხრობას არ შეადგენს, მაგრამ იმაზედ ბევრად უფრო საინტერესო და საყურადღებოა. ეს ამბავი ნამდვილი აღსარებაა ჩვენის ცხოვრების სულელურ და სამარცხვინო გარემოებათაგან დასჯილის ადამიანისა. ამ ამბავის ისტორია შემდეგია:

ამ ცოტა ხანში ჩემთან შემოვიდა ერთი გასათხოვარი ქალი; სახე ყვითელი და გამხმარი ჰქონდა; შეშინებული თვალები მოუსვენრად უციმციმებდნენ; იმის მიხვრა-მოხვრას ძალდატანებით სითამამე ეტყობოდა. ქალი მთელის სხეულით ჰკანკალებდა, იკრუნჩხებოდა და განკიცხულ ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. გეგონებოდათ, აი ეხლა მოსდევდნენ ქუჩაზედ, უყვიროდნენ და ტალახს ესროდნენო და, რომ თავი დაეხსნა თავისის მდევრებისაგან, პირველსავე შეხვედრილ კარებში შევარდა, შეჰხედა თავისს წინ ვიღაც უცნობ კაცს და მის წინ სდგას შეშინებული, დატანჯული; არ იცის, ვინ არის ეს უცნობი კაცი. ვაი თუ ესეც მისი მტერი იყოს? ნეტა როგორ მოექცევა ეს უცნობი კაცი? ვაი თუ, იმანაც ისე შეურაცხ-ჰყოს, როგორც ყველამ?..

— რას მიბრძანებთ-მეთქი? — ვკითხე.

ტანჯვის ღიმილი გამოიხატა მის ტუჩებზედ. მერე დამნაშავესავით გაიქნია ხელები და აკანკალებულისა და ტანჯულის დაბალის ხმით დაიწყო აჩქარებული ლაპარაკი:

— მე, იცით... გარყვნილი ქალი ვარ..., ესე იგი, სულ... არა..., მაგრამ... მაინც... მე... ამას წინად თავი მოვიწამლე კიდეც... საავადმყოფოში ვიწექი...

ნაწყვეტ-ნაწყვეტ აზრის სიტყვები ერთმანეთში ერეოდა; მისთა თვალთა მზერა წამ და უწუმ ერთის მხრიდგან მეორე მხრისაკენ გადადიოდა... როცა ვუყურებდი და მის ლაპარაკს ვისმენდი, ჩემდა უნებურად მისი გული გამახსენდა... ჩემის აზრით, გული უნდა ყოფილიყო შეკუმშული შიშისაგან და დაფარული ათას გვარ მუწუკითა და წყლულით და ამიტომ სუნთქვა უძნელდებოდა მას.

— მოვრჩი, განვიკურნე... დამნაშავესავით ჩაჰკიდა თავი და სთქვა მან დაბალის ხმით: ეხლა სამართალში ვარ მიცემული ამის გამო...

სწორედ ვერ გამოსთქვა თავისი აზრი: იმიტომ-კი არ იყო მიცემული სამართალში, რომ მორჩა, არა, ღვთის მადლით ეს ჯერ არ არის შემოღებული ჩვენში, სამართალში მიცემული იყო თავის მოკვლის განზრახვისათვის.

გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და ამ ლაპარაკიდგან შევიტყე, რომ მას დაელია ერთის აბაზის ნიშადურის სპირტი თავის მოსაწამლავად და ამისთვის იყო სასულიერო სამართალში მიცემული. მიამბობდა თავისს ამბავს, მე-კი ვიდექი და ვფიქრობდი:

— აი, ეხლა რუსულის მწერლობის „ლომი“ საქვეყნოდ იღრინება მასლოვის ქალის ცხოვრებისა და ტანჯვის გამო და საზოგადოება სიამოვნებით უგდებს ყურს წინასწარმეტყველს... ერთი ვინმე მასლოვის ქალის ამხანაგთაგანი რომ თავის ენით გვიამბობდეს თავისის ცხოვრების ამბავს, ეს უფრო გააძლიერებდა საზოგადოებრივ ინტერესს ამ დაღუპულ ადამიანთა მიმართ, იმ ქალთა მიმართ, რომელნიც ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, ჩვენ ასე სასტიკად გვეზიზღებიან. რად გვეზიზღებიან ეს ადამიანები?.. ისინი ხმის ამოუღებლად გვემსახურებიან... ნუ თუ არ შეძრწუნდება და არ გამოფხიზლდება ვისიმე დახშული სინიდისი ამ ცხოვრების სიღრმიდგან ამოღებულ ხმის გაგონებაზედ. გენიოსის მოთხრობას გარყვნილ ქალის შესახებ დაბადებიდგან გულქვავნიც-კი ყურს უგდებენ... მოისმინონ მათ კიდევ ერთი მოთხრობა, ნაამბობი თვით ასეთ უბედურ ქალისაგან... მისი მწარე მოთხრობა ამონაცოხნი მაინც თუ იქნება იმ კოცნისა, რომლითაც სიმთვრალის დროს ვაჯილდოვებდით რამდენისამე წლის განმავლობაში, ისიც კარგია! ეგებ ვინმემ იგრძნოს ზიზღი თავისს თავის მიმართ... ეგებ ვინმემ შეირცხვინოს... შესაძლოა ეს სირცხვილის გრძნობა ვინმესთვის ისეთ ძალად გადაიქცეს, რომ სხვა შემომქმედი გრძნობანი მოძრაობაში მოიყვანოს — სიყვარული, მრისხანება, ან შურის ძიება? მოყვარის შეურაცხმყოფელი ხომ შურის ძიების ღირსია...

ჩემთან შემოსული ქალი წერა-კითხვის მცოდნე გამოდგა და ამიტომ ვთხოვე დაეწერა თავისი თავგადასავალი, თუ რამ მოაფიქრებინა თავისს მოწამლა და სხვანი..

ჯერ იცინოდა და არა სჯეროდა, რომ ვინმე მოისურვებს მისის ნაწერის წაკითხვას. ბოლოს, როგორც იქმნა, დავითანხმე და ორის დღის შემდეგ მომიტანა დაწერილი რამდენიმე თაბახი ქაღალდი. თავისი მოთხრობა საკმაოდ კარგად დაეწერა; მე არ მისწავლებია, თუ როგორ უნდა დაეწერა და არც გამისწორებია მისი ნაწერი. აი მისი ნაწერი:

— „მე დავიბადე სარატოვის გუბერნიის აკტარის მაზრის სოფ. ბ.—ში, გენერალ ს. მამულში. ჩემი პაპა იყო ამ გენერლის მოურავი და მისის სიკვდილის შემდეგ მამული პაპი ჩემის ხელში გადავიდა. რამდენისამე თვის შემდეგ ჩემი პაპაც გარდაიცვალა; ეს მოხდა ზამთარში, შობის წინ 1871 წელს. მე მაშინ ერთი წლისა და სამი თვისა ვიყავი. ბებია ჩემმა მყისვე დაიბარა მამა ჩემი პეტერბურგიდგან; მამულის მართვა უნდა ჩაებარებინა მამი-ჩემისათვის, რადგანაც ის იყო უფროსი შვილი. დაქვრივების დროს ბებიასა ჰყავდა ორი გასათხოვარი ქალი და ხუთი ვაჟი. უმცროსი ვაჟი რვა წლისა იყო. ბებია ჩემი ანგელოზებრ კეთილი ადამიანი იყო, თავისი შვილები და მის გარს მყოფნი ყველანი ერთნაირად უყვარდა. სწორედ ამიტომ ეძახდნენ შინაურებიცა და გარეშენიც დედას. როგორც მშვიდობიანად სცხოვრობდა, ისე მშვიდობიანადვე გარდაიცვალა ბებია ჩემი — მიანიჭე მას, ღმერთო, სასუფეველი ცათა! ის იყო ნამდვილი დედაკაცი — დიასახლისი. მის ოჯახში ადგილი არა ჰქონდა უსიამოვნებასა და უწესოებას. მისი თვალი ყველაფერს სწვდებოდა; ყველაფერს გზას აძლევდა. ოჯახი დიდი ჰქონდა. სახლი და ეზო-გარემო მდიდრულად იყო მორთული. მოსამსახურეები ბევრი ჰყავდა, მაგრამ არასოდეს მისს სიცოცხლეში ოჯახში უწესოება არ გაგონილა. სათუთად მზრდიდა ბებია; მამაც, ნათლიაცა და სხვანიც თავს მევლებოდნენ. ხუთის წლის ვიყავი, როცა სამი ძმა და ერთი და დამეხოცნენ. დავრჩით მე და ერთი ძმა. არც მე და არც ჩემი ძმა დედაჩემს არ ვუყვარდით; მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ენ სწავლაზედ და გაიძახოდნენ: „მე წელიწადში თუმნისაც გადამხდელი ვარ, ოღონდ ჩემი ქალი სკოლაში მიიღეთო“. მეორე იძახდა: „მე უკანასკნელ პერანგსაც გავყიდი და გადავიხდი, რასაც მთხოვთ, ოღონდ სკოლაში ჩემი ქალი მიიღეთო“ და სხვა.—აგერ გათავთა კენჭის ყრაც და გაისმა სკოლაში მიღებულ პატარა ქალების სიხარული და ჟრიამული და მიუღებელთა ტირილ-ზმუილი. ხალხი დაიშალა, მაგრამ არ დაიშალნენ ის მშობლები, ვის შვილებსაც კენჭი არ ერგო და გარდასწყვიტეს: აქვე ფული შევაგროვოთ და მასწავლებელი მოვიწვიოთო და სხვა..

ყველა ამ სასიამოვნო სურათის მნახველმა, შინ რომ მოვედი, ავიღე ხელში „ივერიის“ №199, ჩავიკითხე სოფელ აცანიდგან (გურია) მოწერილი ამბავი და შევდექი აქა: „ქალის ცხობას დედა მისიც-კი ასწავლის და სხვაი სწავლა ვინ გეიგონა ქალისაო“. ჩავიკითხე ცოტა ქვევით და კიდევ შევდექი: „ბაბასაც არ უსწავლებია ჩემთვის მარა გონჯი შტრინგი ბიჭი ვარო“! და სხვ.

ამ ნაირად, როგორც მკითხველიც ჰხედავს, ერთსა და იმავე დროს საკვირველი და სასიამოვნოა, რომ ჩვენი ჟანა მოძმე ოსები ასე არიან სწავლის სიყვარულით გატაცებულნი და სამწუხარო და ჩასაფიქრებელია, რომ ჩვენი ქართველი გლეხ-კაცობა-კი იქამდის გონებით დაჩლუნგებულია, რომ ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა სალათას ძილისაგან და სწავლა-განათლების მნიშვნელობა ვერ დაუფასებია.

ენკენისთვის ოთხს, ღამე, წინა დღის წვიმას გრილი ყინვა მოჰყვა, გრილი თრთვილი დასდო და სიმინდები ძლიერ დაზიანა. ხუთიდგან დღემდე მშვენიერი ამინდებით მიდის ჯერ ეს თვე, მაგრამ დამზრალ სიმინდებს ბევრს ველარას უშველის.

ქართველი ოსეთში

---

## გ ა კ ვ რ ი თ

ბ-ნ ნ. ჟორდანიას „ისევ აქ“ *)

გამოვიდა ბ-ნ ნ. ჟორდანიას მანიფესტი, რომელსაც სათაურადა აქვს: „ისევ აქ“. ცხადია, შინაარსიც სათაურის შესაფერია. პირველად ბ-ნი ნ. ჟორდანია აუწყებს ქვეყანას: „ორ თვეზე მეტია მას აქეთ, რაც მე და „კვალის“ მკითხველი აქ, ამ ალაგას, აღარ შევყრილვართ“. უჰ! რა დიდი საქმე მომხდარა! რა უბედურება სწვევია ქვეყანას?! ხუმრობაა განა, როცა ასეთი კაცი ორის თვით დაშორდება მკითხველს?! ხუმრობაა, როცა მკითხველს თუნდ ორის თვით მოაკლდება ისეთი გონებრივი საზრდო, როგორსაც ბ-ნ ნ. ჟორდანიას ნაწერები ანიჭებს?! ორი თვე გადისო, განაგრძობს ბ-ნი ნ. ჟორდანია, რაც „გზა სიმართლისა აღარ გვიკვლევია“. დიაღ, ვინ იცის, მკითხველო, რამდენი რამ დააკლდა ამით ქვეყნიერობას. „ის (ე. ი. მკითხველი) ისევ „კვალთან“ დავტოვე, მე-კი მოვშორდი მასო“, გულ-ამომჯდარი ამბობს ბ-ნი ნ. ჟორდანია, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ ამასაც დასძენს, რომ „მოვშორდი დროებით, რომ რაც შეიძლება ადრე უფრო მეტის ძალ-ღონით და ენერგიით მასთან დავბრუნებულიყავიო“...„და აი მე ისევ აქ ვარ, აქ..“ მაშ გიხაროდეს, მკითხველო, რამეთუ ბ-ნ ნ. ჟორდანია ისევ „აქ“ არის. „...ეს ადგილი... მიტაცებს მე, აქ, და მხოლოდ აქ, ვპოვებ სიამოვნებას და სვინდისის დამშვიდებას“, აღიარებს ჩვენი საზოგადო გამართობელი. „ზნეობრივი მოვალეობა მივატოვე.. იმისთვის, რომ მიმეღო ფიზიკური მოსვენება! აი რა დიდ მსხვერპლს თხოულობს ადამიანის ბუნება, აი რა ერთი მეორის მოწინააღმდეგე მხარეებს შეიცავს იგი“, ბძანებს. დიაღ, რომ დიდი უნდა იყოს მსხვერპლი, რომელიც ბ-ნ ნ. ჟორდანიას ორის თვის მოღვაწეობას შეეწირა. მართალია, ორი თვე თავის თავად დიდი დრო არ არის, მაგრამ ბ-ნ ნ. ჟორდანიას ერთი დღის „მოღვაწეობაც“-კი დიდი დანაკლისია საზოგადოებისათვის, თორემ ორის თვის რა უნდა იყოს!

რითი ამართლებს ბ-ნ ნ. ჟორდანია ამგვარ თავისს საქციელს? აი რით: ცივილიზაციამ „ერთი გლახა საქმე დაგვმართა—დაგვაშორა ბუნებას და ერთიანად თავის მორევში ჩაგვითრია. აგვიშენა უზარ-მაზარი ქალაქები, მოგვრეკა სოფლებიდგან, შეგვყარა ერთ პაწია სივრცეზე, ფილტვებს ასაზრდოებს მტვერით, კუჭს ძნელი მოსანელებელი სასმელ-საჭმელით, სმენას უსაზღვრო ხმაურობით, მხედველობას უენო შენობებით და გონებას იმ უთვალავი წიგნებით, რომლითაც ერთიანათ გარს შემორტყმული ვართ. დაჰყავით ამ „ცივილიზაციაში“ ერთი წელი, ორი, ათი და თქვენ მოგბეზრდებათ ეგ კულტურა...და ხშირათ შენატრით პირუტყვთ, რომელთაც არ იციან, რა არის ნერვებ აშლილობა“. ნუ სწუხდებით, ბ-ნო ნ. ჟორდანია, დაიმშვიდეთ ნერვები. თქვენისავე სიტყვით, თქვენს ნერვებ აშლილობას ფრიად ღრმა მიზეზი ჰქონია. დარწმუნდით, რომ არა თუ ორის თვით, არამედ ასის თვითაც რომ მოგესვენებინათ, მაშინაც არა დაშავდებოდა-რა.

„მისთვის, ვინც აზრის აღებ-მიცემობას (ეს აზრის აღებ-მიცემობა-კი ვერ გაგვიგია სწორედ) და მოქმედებას მიჩვეულია,... უქმათ ჯდომა მაშინ, როდესაც მის გარშემო ცხოვრება დუღს და გადმოდის—აუტანელიაო“, ჰბძანებთ. მართალი აზრია საზოგადოდ, თუმცა თქვენ არ შეგეხებათ. თქვენ ხომ თქვენს დაბა ჩხუთში ჰბძანდებოდით და ამ სოფელსაც ხომ, თქვენისავე სიტყვით, ახალი სიო მოხვედრია. „ამ ხუთი—ათას წლის წინად აქ არავითარი საზოგადო საქმე არ არსებობდა. იყო ერთი დავიდარაბა, მტრობა... ახლა-კი მის ალაგას ვხედავთ სამკითხველოს, ბანკს, სკოლებს და სხვა ასეთ დაწესებულებას... იმართება კრებები, ირჩევა კომისიები, კომიტეტები და სხვა ასეთები ამა თუ იმ საზოგადო საქმის წასამართავადო“, თვითონვე არ ჰბძანებთ?! მართალია, ასეთი პატარა საქმეები არ შეგფერით, უნდა მოღვაწეობდეთ „აქ“, სადაც ახლა ხართ, „აქ, სადაც ამდენი ეკალია მოპნეული(?)“, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ხან-და-ხან დიდმა კაცმა პატარა საქმეც გააკეთოს. ამას გარდა, იმას არაფრადა სთვლით, რომ მეტის ძალ-ღონითა და მხნეობით დაბრუნდით?! დიაღ, სხვა თქვენს ადგილზედ არავინ არ ინანებდა ორის თვით მოსვენებას!

„მაშ... განვაგრძოთ მუშაობა ისევ აქ, ძველებურად, ჩვენებურადო“, ჰბრძანებთ.

ამისი-კი უნდა მოგახსენოთ, უფრო სანუგეშო და სასიხარულო იქნებოდა, რომ დასვენების შემდეგ მაინც გულის ხმასა შინა შთავარდნილიყავით, ძველებურათვე „მეცნიერება“ არ დაგეწყოთ, მხოლოდ რაც შეეხება იმას, რომ ბრძოლას აპირობთ „აქ, ისევ აქ!“, შემიძლიან ვიწინასწარმეტყველო, რომ ეს სამი სიტყვა, ეს „აქ, ისევ აქ!“ ისტორიის ფურცლებზედ აღინიშნება ჩვენთა შვილი-შვილთა მიერ სამარადისო სახსოვრად.

ვ. წ.

*) იხ. „კვალი“ № 39.

---

## უცხოეთი

—

**ჩინეთი**. უმთავრესს სალაპარაკოს გერმანიასა და თითქმის მთელს ევროპაში შეადგენს დღეს ჩინეთის იმპერატორის დეპეშა გერმანიის იმპერატორთან გაგზავნილი და გერმანიის იმპერატორის პასუხი, გერმანიისავე გაზეთების აზრით, თუმცა იმპერატორის პასუხი იმ კილოთი არ არის დაწერილი, რა კილოთიც მეფენი სწერენ ხოლმე ერთმანეთს, შინაარსი წერილისა მაინც არ შეეფერება ამ კილოს. პირ-იქით აშკარაათ, ამბობენ, რომ გერმანიის იმპერატორი ჩინეთთან შერიგებასა და დაახლოვებას აპირებს. ზოგნი ჰკიცხავენ კიდეც გერმანიის იმპერატორს, რომ თავისს დეპეშაში პატივის-ცემით არ შეეხო ჩინეთის სარწმუნოების ჩვეულებებს და განაცხადა, მსხვერპლის შეწირვას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვსო. თვით სოციალ-დემოკრატთა გაზეთებიც-კი სცნობენ, რომ ვილჰელმის დეპეშას მორიგებისა და მშვიდობიანობის ჩამოგდების ბეჭედი აზისო. ამის გამო ფიქრობენ, რომ მოლაპარაკება მალე დაიწყება.

— როგორც უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, არეულობანი სამხრეთ ჩინეთში „დიდის მუშტის“ პროკლამაციებსა და სხვა და სხვა საზოგადოების წყალობით თან და თან იზრდება. ის ევროპიელნი, რომელთაც ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებს არ შეაფარეს თავი, უმეტეს ნაწილად ამოწყვიტეს ჩინელთა ბრბოებმა, მისსიები დააქციეს, თვით იმ ნავთ-სადგურებში მცხოვრები ევროპიელნი, სადაც მოკავშირეთა სამხედრო გემები არიან, ამ ბოლოს დროს შიშსა და საგონებელს მიეცნენ, მით უმეტეს, რომ ამ ნავთ-სადგურში მეოთხე ჩინეთის სამხედრო გემები რაღაც მზადებაში არიან, ამის გამო საჭიროდ უცვნიათ, მეტი თვალ-ყური ადევნონ კანტონსა და ფუ-ჯოუს, სადაც ძლიერი ჩინეთის ფლოტია: ფუ-ჯოუში, მაგალითად, ჩინელებს 15 სამხედრო გემი ჰყავთ, ხოლო კანტონში 13 დიდი და 22 პატარა სამხედრო გემი. ეს გემები მშვენივრად არიან მოწყობილნი და საუკეთესო ზარბაზნებით შეიარაღებულნი. სულ

---

კიდევ ჰყავდა ერთი შვილი—ნამდვილი დედის სურათი იყო; ის იყო მაშინ ორის თვისა. თუმც ისიც მაშინვე ძიძას მიაბარა დედამ, მაგრამ იმას მაინც უფრო ალერსიანად ეპყრობოდა და ეს, თუმცა პატარა ვიყავი, მაინც მაწუხებდა და ჩემი გული დედის და პატარა ძმის მიმართ სიძულილით ივსებოდა. დედისა ძალიან მეშინოდა; თითოეულ მის სიტყვის გაგონებაზედ ვკანკალებდი, მაგრამ მაინც ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა მეტი უსიამოვნება მიმეყენებინა მისთვის. ჩემის ჯიუტობით და შეუპოვარ ხასიათით ბევრჯელ გავაბრაზებდი ხოლმე მას და ამისთვის ყოველ დღეში არა ერთხელ მცემდა. ჩემი მფარველები ბებია და ოჯახის სხვა წევრნი იყვნენ. უცებ ბებია ჩემმა, თითქო იგრძნო სიკვდილის მოახლოება, თავისი საცხოვრებელი შვილებს გაუნაწილა და ისე გარდაიცვალა, რომ ერთს წუთსაც არ უავადმყოფნია. სადილის შემდეგ ყავა დალია, დაწვა დასასვენებლად და აღარ ამდგარა. ის წუთი და მისი სახის გამომეტყველება არ დამავიწყდება; ისე ეძინა, რომ კეთილი ღიმილი ტუჩებზედ არ მოჰშორებია. ვეღარ შევძელი მისი მოშორება: ის იყო ჩემთვის ყველაფერი; მან პირველმა მასწავლა ანბანი; თუმცა კარგად ვერა ჰლაპარაკობდა რუსულს, მაგრამ მე-კი ანბანი იმან მასწავლა. ყველაფერს ის მასწავლიდა; სცდილობდა მესწავლა რამე. როგორ უხაროდა საწყალს, როდესაც ნემეცურ ლექსებს ვტიტინებდი! მე ვიყავი ექვსის წლისა, როდესაც ბებიასთან ერთად დავმარხე ჩემი ბავშური ტიტინი და დინჯი ადამიანი გავხდი. თამაშობა და გართობა აღარ მაინტერესებდა; სიყვარული და ალერსი ჩემთვის აღარ იყო; მამა ჩემს თავისი საქმეები ჰქონდა; დამეგობრებული არავისთან ვიყავი და ამიტომ სრულიად მარტოდ ვატარებდი დროს სადმე ოთახში თუ ბაღში, ჩემის მწარე ფიქრებით დატვირთული და თვალ-ცრემლიანი. ხასიათიც შემეცვალა: გულ-ჩახურული შევიქმენ; დედამ სრულიად მოიძულა. რასაკვირველია, მაძღარიც ვიყავი, კარგადაც მეცვა, მაგრამ ესენი ხომ ჩემთვის არ იყო: ეს იყო საჭირო საზოგადოებისათვის... კარგად რომ არ მცმოდა, სხვები რას იტყოდნენ?..

„ასე ვცხოვრობდი და ვიტანჯებოდი პანსიონში შესვლამდე. გადავსახლდით ქალაქ ს—ში; იქ მეორე კლასში მიმიღეს; ვსწავლობდი კარგად და ამიტომ მასწავლებლებს ვუყვარდი. დრო არ მქონდა, რომ მოწყენილი ვყოფილიყავი: უმეტეს დროს პანსიონში ვატარებდი. სახლში იშვიათად დავდიოდი; დედას ვხედავდი ხოლმე დღეში 5—10 წუთს და ამიტომ უფრო და უფრო გადავეჩვიე. მამა ჩემი თავისის საქმეების გამო წავიდა ქალაქ მ—ში. თავისის საქმეების მოწყობის შემდეგ ჩვენც იქ დაგვიბარა და მეც უნდა მიმეტოვებინა ყველაფერი, რაც-კი ძვირფასი იყო ჩემთვის, და უნდა წავსულიყავი. სად? რისთვის? რა მომელის იქ? ეს კითხვები არ გამოდიოდა ჩემის გონებიდგან.

„მივედით ქ. მ—ში, სადაც მამა ჩემს უკვე დაექირა სახლი; შევედით გიმნაზიაში მეცა და ჩემი ძმებიც; რამდენსამე თვის შემდეგ ჩვენი მდგომარეობა გამოიცვალა; სწავლისათვის თავი დაგვანებებინეს და წაგვიყვანეს შინ. სახლში მერგო მე მოსამსახურის მოვალეობის შესრულება; უნდა მომევლო დედისა, მამისა და ძმებისთვის. ჩემს როლს მალე მივეჩვიე და, თუმცა ძნელი იყო ჩემთვის, მაგრამ მამის სიბრალულითა და უფროსის ძმის სიყვარულით ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც-კი ვახერხებდი და რის ღონეც შემწევდა. გავიზარდე, დავსრულდი; თუმც ისევ მოკლე ტანისამოსით დავდიოდი, მაგრამ 11 წლისა ვიყავი. ბოლოს მამამ ისევ მიიღო ადგილი, წავიდა ქ. ბ—ში; იქიდგან გადაიყვანეს ქ. ვ—ში და ბოლოს ისევ მ—ში გადმოიყვანეს. ყველა ეს მოხდა ერთის წლის განმავლობაში. ამ ხანში ჩემ ცხოვრებაში ღირს შესამჩნევი არა მომხდარა რა. ჩვენის ოჯახის მთელი პატრონობა ჩემს კისერზედ იყო ისევე, როგორც გიმნაზიიდგან გამოსვლის შემდეგ. მამა ისევ უადგილოდ დარჩა; მერე შემთხვევით იშოვა ადგილი და წაგვიყვანა სუყველა თავად ლ—რის მამულში. იქ მშვენივრად მოვეწყეთ; მე ისევ ქალბატონი გავხდი, მოსამსახურეები ისევ ბევრი გვყავდა და არაფერი საქმე აღარ მაწუხებდა. მთელი ჩემი მოვალეობა ეს იყო: უნდა ავმდგარიყავ გათენებისას, წავსულიყავ მინდორში და დამეთვალიერებინა, როგორ ჰმუშაობდნენ გლეხები; უნდა წავსულიყავი ჯერ კალოზედ, მერე საბანაოდ; მერე შევიდოდი ხოლმე, სადაც ძროხებს სწველავდენ და ერთს ჭიქა რძეს დავლევდი. მთელ დანარჩენ დროს ბაღსა და ჭალებში ვატარებდი, ვგორავდი მწვანე მინდორზედ და ვინ იცის რას არა ვოცნებობდი. ხანდახან ავუშვებდი ტივს, შევჯდებოდი ზედ და მივცურავდი ჩვენ მდინარეში, სად და რისთვის, არ ვიცოდი. მეგობარი ქალები არა მყავდა; ძმებისათვის არ მიყვარდა ჩემი აზრების გაზიარება და ამიტომ მთელს დღეებს მარტოობაში ვატარებდი, ჩემი გამართობი მხოლოდ ბუნება იყო. ერთხელ, როცა ჭალაში დავსეირნობდი დავინახე ერთი ახალგაზდა კაცი, რომელიც ისე იყო დაფიქრებული, რომ ჩემი ახლოს მისვლა დიდხანს ვერ შეამჩნია. იმის ახლო წიგნები ეყარა; ამ წიგნებმა დამაინტერესა და ერთი წიგნი ხელში ავიღე; ამ მოქმედებით გამოვიყვანე იგი ფიქრებისაგან, მისალმების შემდეგვე გავიგე, რომ ის სტუდენტი იყო, პეტერბურგიდგან მოსული; გათავებული ჰქონდა უნივერსიტეტში სამკურნალო ნაწილი და ამ ჟამად სცხოვრობდა აქ თავ. ლ. მეუღლესთან. ამ დღიდგან ჩვენ ხშირად შევხვდებოდით ხოლმე ერთმანერთს; ჩემ სეირნობასა და გართობაში ისიც ჩემი ამხანაგი გახდა. შემიყვარდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იმდენად შევეჩვიე, რომ უიმისოდ გაძლება ერთ წუთსაც აღარ შემეძლო. იმისს ფეხის ხმასა ვცნობდი, გული ყოველთვის მეუბნებოდა, სად იყო ის და სად მიმელოდა. მაგრამ აი უკანასკნელი შეხვედრა: უნდა წასულიყო იქიდგან, ჩვენ ჩვეულებისამებრ წავედით მინდორში, ვისეირნეთ; დავიარეთ ყველა ადგილი, როგორც ყოველთვის, და გამოვეთხოვეთ ერთმანერთს. გამოთხოვების დროს დავასაჩუქრეთ ერთმანერთი ნათესაურის კოცნით. ეს იყო ჩემი პირველი კოცნა, მაგრამ ამ კოცნამ ჩვენ არ მიგვიყვანა დაცემამდე; მხოლოდ ცუდად გავხდი აღელვებისაგან და ამითი სრულიად გავიფუჭე სახელი დედიჩემის თვალში. მისის აზრით, მე ზნე წამხდარი ქალი ვიყავი, სხვა სახელი აღარ იყო ჩემთვის; მაგრამ ეს ტყუილია: პატიოსანი ქალი ვიყავ მეოცდა-ერთე წლამდე.

ს. რობაქიძე

(შემდეგი იქნება)

ამ გემებზედ 283 ზარბაზანია, ზოგი მათგანი მსწრაფლ-მსროლელია. ამას გარდა ჩინეთს შანჯაიშიაცა ჰყავს ცალკე ფლოტი. ამბობენ, თუ ხმელეთზედ მოძრაობა გადიდდა, ეს გემები არ დადგებიან გულ-ხელ დაკრეფილი და ისინიც ბრძოლას დაუწყებენ ევროპიელთაო.

## სასამართლოს მატიანე

გუშინ, 25 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, სოფ. ზარის მცხოვრების გლეხის ეგნატე ალექსის ძე გოტაძისა, რომელსაც სოლომონ გიორგობიანის მოკვლა და პავლე გიორგობიანის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. საქმის გარემოება შემდეგია.

1899 წლის 26 სექტემბერს, მოწმების ჩვენებით, ეგნატე გოტაძე მისულა მთვრალი მიხეილ გიორგობიანის სახლში, სადაც სხვა სტუმრებიც ყოფილან ნათლობაში მიპატიჟებულნი. იქვე მისულან სოლომონ და პავლე გიორგობიანები. გოტაძეს სოლომონ გიორგობიანთან ძველი უსიამოვნება ჰქონდა თურმე. ნათლობის დროს ჩხუბი მოსვლიათ სოლომონის ძმას ფილიპეს და გოტაძის ძმას ლუარსაბს, რომლის დროსაც ეგნატე გოტაძე მივარდნია სოლომონ გიორგობიანს, უტაცნია ყელში ხელი და დაუწყია რჩობა; იქვე მყოფს მალაქია გიორგობიანს მოუშორებია გოტაძე სოლომონისათვის, რომელსაც კარში გასვლა დაუპირებია, მაგრამ ამ დროს გოტაძეს უძვრია ხანჯალი და სოლომონ გიორგობიანისთვის მუცელში ჩაუცია; გოტაძეზედ მიუწევია მეორე ძმას პავლეს და დამუქრებია, მაგრამ იგი განუშორებია ხალხს, ამ დროს გოტაძეს უსვრია რევოლვერი პავლესათვის, მაგრამ იღბლად პავლეს ტყვია ასცდენია. გოტაძეს ოლქის სასამართლოში განუცხადებია, რომ თუმცა სოლომონ გიორგობიანი შემომაკვდა, მაგრამ ეს განზრახ არ ჩამიდენია და ხანჯლის მოქნევის დროს უცაბედად მომიხდაო; ხოლო პავლე გიორგობიანის მოკვლის განზრახვაში თავი დამნაშავედ არ უცვნია. ქუთაისის ოლქის სასამართლოს ამა 1900 წლის 16 მაისს დამნაშავედ უცვნია ეგნატე გოტაძე და გარდაუწყვეტია მისთვის ყოველისავე უფლებაუპირატესობის ჩამორთმევა და ციმბირის შორეულს ადგილებში გარდასახლება. ტფილისის სამოსამართლო პალატამ, გუშინ, 25 სექტემბერს, განიხილა ესევე საქმე სააპელაციო წესით, დამნაშავედ იცნო ეგნატე გოტაძე და, ციმბირში გარდასახლების ნაცვლად, ყოველისავე დირსების ჩამორთმევა და ოთხის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთები ამას წინად მოკლულ იტალიის მეფის ჰუმბერტოს ცხოვრებიდგან გადმოგვცემენ შემდეგს ამბავს, საიდგანაცა სჩანს, რომ ეს მეფე მეტად გულ-კეთილი და მოწყალე კაცი ჰყოფილა. ერთხელ მგზავრობის დროს ჰუმბერტო, სხვათა შორის, პატარა ქალაქ კასტელგონდოლფშიაც ჩამომხტარა. მეფეს ამ ქალაქში ღამე უნდა გაეტარებინა და დილაზედ ადრე წასულიყო. მცხოვრებნი აღტაცებით მიჰგებებიან მეფეს და შუაღამემდე არ მოჰშორებიან ადგილობრივ ეპისკოპოსის სახლს, სადაც მეფე გაჩერებულა. ბოლოს ხალხი დაშლილა და მეფეც დაწოლილა, არ გასულა ბევრი დრო, რომ ვიღაცას ძლიერად ზარი დაურეკნია, შემდეგ მეფის საწოლ ოთახში კამერჰერი შესულა.

— რა მოხდა, გრაფ?—უკითხნია კამერჰერისთვის მეფეს.

— მაპატიეთ, ხელმწიფევ, რომ გაწუხებთ. ერთი აქაური ვექილი გეხვეწებათ, ნება მისცეთ შემოვიდეს და გელაპარაკოთ. ამასვე თხოულობს ადგილობრივი მღვდელიც. ისეთი საქმეა, რომ უეჭველად ეხლავე უნდა ვნახოთ მეფეო.

— შემოიყვანეთ,—უთქვამს მეფეს.

10 წუთის შემდეგ მეფე უკვე ჩაცმული იყო.

— მეფევ!—უთქვამს ვექილს შესვლისათანავე,—თქვენ პირველი და უმაღლესი მოსამართლე ბრძანდებით ჩვენის ქვეყნისა. გთხოვთ მაპატიოთ, რომ ეგრე უდროოდ შეგაწუხეთ, მაგრამ საქმე ისეთ კაცს შეეხება, რომელსაც სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი. განაჩენს ხვალ დილით ადრე მოიყვანენ სისრულეში. თქვენი უდიდებულესობა რომ არ მობრძანებულიყო აქ, იმ კაცს ხვალ თავს მოჰკვეთავდნენ.

— მიამბეთ დაწვრილებით, როგორაა საქმე,—უთქვამს მეფეს.

— ახალგაზდა გლეხს მახლობელ სოფლის მცხოვრებს, მკვლელობა ჰბრალდებოდა. ეჭვი არავისა აქვს, რომ მკვლელი ის არის; საქმიდგანაც უეჭველი ხდება ესა, ამიტომ სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად დარწმუნებული ვარ, რომ ის კაცი დამნაშავე არ არის. თვითაც უარს არის, მხოლოდ არ ასახელებს ნამდვილ მკვლელს, თუმცა-კი იცის, მკვლელი ვინაა. რაღაც გაუგებარია ამ საქმეში: ვერ გაგვიგია, რისთვის აფარებს ხელს ნამდვილ დამნაშავეს და არ ამხელს. მოსვენება დავკარგე განაჩენის გამოცხადების შემდეგ. მოვიყვანეთ ცოლი, შვილები, იმათ დანახვაზედ ტირილი დაიწყო, მაგრამ მკვლელის სახელი მაინც არა სთქვა. თქვენზედა, თქვენო უდიდებულესობავ, ეხლა დამოკიდებული ამ კაცის ბედ-იღბალი.

— მეც, მოვისმინე რა ამ კაცის აღსარება,—უთქვამს ახლა მღვდელს,—დავრწმუნდი, რომ იგი დამნაშავე არ არის. სხვა კაცის გულისათვის იგი თავსა სწირავს.

— აბა წამიყვანეთ იმ კაცთან, მე გავიგებ საიდუმლოებას—გამოუცხადებია მეფეს.

— როგორ! ნუ-თუ თქვენ უნდა წამობრძ... დაუწყვია ვექილს, მაგრამ მეფეს გაუწყვეტია:

— თქვენ ხომ სთქვით, რომ მე უმაღლესი მოსამართლე ვარ. ჰო და აი ეხლა როგორც უმაღლესმა მოსამართლემ, ყოველივე უნდა შევიტყო.

გზაში მეფის თხოვნით ვექილს უამბნია ამ საქმის ისტორია. შუადღისას სოფელში თოფი გავარდნილა. თოფის ხმაზედ სოფლელნი შეკრებილან ერთის ქოხის წინ, სადაც ლუიჯი ტომმაზო სცხოვრობდა ცოლით, სამის ბავშვითა და მოხუცის მამით. მოკლულის კოლტინის გვამის წინ ლუიჯი იდგა თურმე ამღვრეულის, არეულის თვალებით და დაჰყურებდა მოკლულს. თოფი, რომლითაც კოლტინი მოეკლათ, იქვე ეგდო; ეს თოფი ლუიჯის ეკუთვნოდა. სოფელში ყველასა სცოდნია, რომ ტომმაზოსა და კოლტინის შორის მტრობა ყოფილა ჩამოვარდნილი.

— ასეა, თქვენო უდიდებულესობავ, საქმე,—უთქვამს დასასრულ ვექილს,—მაგრამ, როგორცა ვთქვი, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ლუიჯი ტომმაზო მკვლელი არ არის.

როდესაც საპყრობილეში შესულან, ვექილს უთქვამს პატიმრისათვის:

— ტომმაზო, თქვენ სიკვდილით დასჯა გადაგიწყვიტეს. თქვენა გყავთ ცოლი და სამი შვილი, რომელთაც მკვლელის შვილებს დაუძახებენ. თქვენ იცით ყოველივე ესა და მაინც სიმართლეს არ ამხელთ. დრო კიდევ არის. მე ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ მკვლელი თქვენ არა ხართ.

ახალგაზდა გლეხს, რომელიც კუთხეში იჯდა, თავი მაღლა აუღია და უთქვამს:

— მე უდანაშაულო ვარ და თუ თქვენ ჩემი სიტყვები გჯერათ, ჩემთვის ესეც საკმაოა. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს.

— არა, შვილო, შენ სათქმელი კიდევ გაქვს. მეფე გიბრძანებს, სიმართლე აღიარო!—მოესმა გლეხს ოთახის მეორე კუთხიდგან.

— მეფე!—წამოუძახნია ლუიჯის და მაშინვე განცვიფრებული მუხლებზედ დაცემულა.

— ადექი შვილო! მარტო ღმერთის წინაშე იჩოქებენ. მე იმიტომ მოვედი, რომ სიმართლე გავიგონო. შენ მე ცუდ საქმეს მიშვრები: იტყვიან, ჰუმბერტოს მეფობის დროს უდანაშაულო კაცი დასაჯესო. სთქვი, შვილო, ყურს გიგდებ.

— კარგი,—ხანგრძლივის ყოყმანის შემდეგ უთქვამს ლუიჯის,—ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ წინ და წინ გთხოვთ, აპატიოთ იმ კაცს დანაშაული.

— გაძლევ სიტყვას, რომ შენ თხოვნას აღვასრულებ.

— ჩემთვის ეგ არ არის საკმაო: იმ კაცის სახელი გამომჟღავნდება, მთელი ქვეყანა გაიგებს, სასამართლოში დაიბარებენ.—ხელ-ახლა ყოყმანით დაუწყვია ლუიჯის.

მეფემ დიდხანს უყურა თურმე თვალებში გლეხს და შემდეგ სთქვა:

—არა, შვილო, დამნაშავე დაბარებული არ იქმნება, იმის სახელს ვერც გაიგებს ვინმე. მე ვიცი ეხლა, ვინც მოჰკლა კოლტინი. მკვლელი მამა შენია...

— დიაღ,—სთქვა ლუიჯიმ,—მამა ჩემმა მოჰკლა. იგი მოხუცია და ეს მკვლელობა ჩემის სიყვარულით ჩაიდინა.

— შენ კეთილი შვილი ხარ,—უთქვამს მეფეს.

რამდენისამე წუთის შემდეგ ლუიჯი ტომმაზო და მეფე ერთად გამოსულან საპყრობილედგან. მეფის ბრძანებით განაჩენი გაუუქმებიათ და ლუიჯის მამისათვისაც უპატიებია დანაშაული.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 23 სექტემბერი

**პარიჟი.** მშვიდობიანობის კონგრესზედ ბლიოხმა სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ ომიანობის შესახებ მრავალი იდეების გავრცელება რამდენად გაძნელებულია. მხოლოდ გააგის კონფერენციამ გამოიჩინა დღევანდელი საქმის ცოდნა, მაგრამ კონფერენციის მუშაობამ გერმანიის წინააღმდეგობის მეოხებით ღირსეული ნაყოფი ვერ მოიტანა, თუმცა გერმანიის ინტერესებს უფრო ომიანობა ავნებსო. თანამედროვე განკარგებული ტეხნიკა უფრო სასარგებლოა მოგერებისათვის, გერმანია-კი, თავისს მდებარეობისა გამო, მაშინვე თავდასხმისათვის უნდა მოემზადოს, რომელიც ესოდენ დამღუპველია, რაიცა დაამტკიცა ტრანსვაალის ომმა. მომავალს ომში ეკონომიური ძალა უფრო ადრე გამოელევა სახელმწიფოს, ვიდრე სამხედრო. ბოლოს სთქვა ბლიოხმა, რომ საჭიროა უთუოდ დაწვრილებითა და ცოდნით გამოკვლევა ომის საგნებისა, რაიცა უთუოდ დაამტკიცებს, რომ ომიანობა დიდ ერთა შორის ნივთიერად შეუძლებელი შეიქმნაო. ბლიოხის მოსაზრებანი კონგრესმა ერთხმად მოიწონა.

**ბერლინი.** „ვოლფის სააგენტოს“ გაუგონია, რომ რუსეთის მთავრობა გერმანიის მიერ 18 სექტემბერს გამოქვეყნებულს ნოტას მიემხროო.

**როსტოკი.** დღეს ჩაუშვეს ზღვაში ერთი იმ ორ სამგზავრო საქონლის გემთაგანი, რომლებიც რუსეთმა შეუკვეთა აქ; გემს სახელად „არგუნი“ ეწოდება და დამთავრებული იქმნება დეკემბრის ნახევარ რიცხვებში.

**პარიჟი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს-ძე მეუღლითურთ მობრძანდა აქ, რომელთაც მიეგებნენ რუსეთის საელჩოს მოხელენი.

**სოფია.** სპარსეთის შაჰი ჩამოვიდა.

**პრეტორია.** გენერალი კელლიკენნი იტყობინება, რომ თავისაფალ მეომართა რაზმს განზრახვა ჰქონდა მოულოდნელად თავს დასცემოდა ბურების რაზმს ბლუმფონტეინის მახლობლად, მაგრამ ბურები მძლავრები აღმოჩნდნენ და რაზმმა სამი საათის ბრძოლის შემდეგ უკან დაიწია. დაჭრილია ექვსი ინგლისელი, ბურებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ლონდონი.** „ტაიმს“ ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ ბრძანება მოვიდა, მეფის სახლობა ტიენფუდგან სინანფუში გადავიდესო.

**პეტერბურგი.** ოფიციალურად. ურგინის კონსული იტყობინება, რომ ჩახრებმა (სამხრეთ-მონგოლიის ტომთაგანნი არიან) სამი რაზმი გამოიყვანეს, რომელთაგანაც თითოში ათას-ათასი კაცია, რომ ამით შეაჩერონ რუსების კალგანისაკენ მოძრაობაო. ჩინელები ურგაზე გამხედრებას არ აპირებენ. ურგაში მშვიდობიანობაა.

**ლონდონი.** „Daily Chronicle“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდგან, ვითომც შეერთებულ შტატებს წინადადება მიეცეს სახელმწიფოთათვის —ვაიძულოთ ბოგდიხანი, რომ პეკინში დაბრუნდეს და მრჩეველ-მიმინისტრად აირჩიონ რეფორმისა და პროგრესის მომხრე ნიო იმპერატორმა ამასთანავე ბრძანება უნდა გამოსცეს, რომ დედოფალს ერთმევა ყველა უმაღლესი უფლებანი. დედოფლის ინტრიგებისაგან იმპერატორი უნდა უცხოელთა ჯარებმა დაიცვან. შეერთებულ შტატების მთავრობა თხოულობს, რომ პრინცი ტუანი უთუოდ დასჯილ იქმნასო.

### 24 სექტემბერი

**პეკინი.** რუსებმა საზაფხულო სასახლე დასტოვეს.

**ბელგრადი.** სპარსეთის შაჰი აქ საღამოთი მოვიდა. შაჰს მიეგებნენ მეფე და დიპლომატიური კორპუსი. სასახლეში შაჰს დედოფალი დაუხვდა. სადილს შემდეგ შაჰი წავიდა.

**კოპენჰაგენი.** რუსეთის გემი „ლედოკოლი“ და კრეისერი „ბაკანი“ მოვიდნენ და შპიცბერგზე მყოფ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს.

### 25 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ადმირალ ალექსეევის დეპეშა, შანხაიდგან გამოგზავნილი: „გათენებისას მოვედი რეიდზედ, სადაც ჩვენის ადმირალის გარდა იყვნენ საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა, ავსტრიისა და იაპონიის ადმირალები. გუშინ მოსული ჩვენი გემები დაუყოვნებლად შეუდგნენ დესანტის გადაზიდვას და შუაღამემდე უმთავრესი ჯარი უკვე გადაზიდულ იყო. ადმირალთა თანხმობით სიმაგრეები სახელმწიფოებს შორის იქმნა განაწილებული. მე 5 ნომერი რუსებმა დაიჭირეს, ხოლო პირველი და ნაპირზედ მდებარე სიმაგრენი — სხვა სახელმწიფოებმა. ჯარს ქალაქი არ დაუტევია, მხოლოდ გალავანის კარებს ადევნებს თვალ-ყურს. ცინვანდასი სხვებთან ერთად ჩვენ ჯარს უჭირავს. გენერალ ცერპიცკის ჯარი, რომელიც ბეითანით მოდიოდა, შაჰაიგუანში 19 სექტემბერს იყო. მთელი გზა ტონგკუდგან შანჰაიგუანამდე ჩვენ ჯარს უჭირავს. ამერიკელები შანჰაიგუანის დაჭერის შემდეგ მონაწილეობას აღარაფერში იღებენ. აქ ნავთ სადგურში სდგანან შემდეგი გემები: „პეტროპავლოვსკი“, „როსსია“, „რურიკი“, „კორნილოვი“, „გილიაკი“, „ზაბიაკა“, „სივუჩი“, „მოსკოვი“, „ორელი“ და „მანჯური“. ჩვენის ჯარის ნაწილი ჩრდილოეთისკენ მიდის“. ალექსეევისავე დეპეშა, პორტ-არტურიდგან გამოგზავნილი: „ჩინეთის ყველა კრეისერები შანხაიში არიან და არსად გასულან; იმათ უცხოქვეყნელთა გემები ადევნებენ თვალყურს. გზა უშიშარია“.

**პეტერბურგი.** 23 სექტემბერს კოლპინოდგან სევასტოპოლში წავიდა საბერძნეთის დედოფალი უავგუსტოესის შვილის ქრისტეფორეთი“.

**ბუდაპეშტი.** სპარსეთის შაჰი დღეს საღამოთი მოვიდა აქ.

**ვაშინგტონი.** შეერთებულმა შტატების მთავრობამ უკვე აუწყა სადიპლომატო კორპუსს პასუხი დელკასეს ნოტისა, ამ პასუხის თანახმად შეერთებული შტატები ძნელად თუ დათანხმდეს საომარ იარაღის შეტანის აღკრძალვას ჩინეთში, სამუდამოდ სადარაჯო ჯარის დატოვებას საელჩოებისათვის პეკინში და დიდის ხნის პეკინსა და ზღვას შუა გზის დაჭერას. ორს უკანასკნელს წინადადებას შესაძლებელია შედეგად ცალკე ოლქების დაჭერა მოჰყვეს. ჰფიქრობენ, მთავრობა გინდაც თანახმა იყოს ამ ორის წინადადებასა, იგი მაინც გარდასაწყვეტად კონგრესს წარუდგენს ამ საქმესაო. ყოველივე ეს საჭიროდ იქნა გამოცხადებული, რათა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოთითონ ზოგიერთ კითხვებზედ, რომელთა აწონ-დაწონვაც საჭიროა საფრანგეთის ნოტის პასუხის გაგზავნის დროს.

**ლონდონი.** გერბერტ გლადსტონმა სთქვა, რომ უთუოდ ლორდი სოლისბიური საქმეებს გაშორდება მომავალის წლის დასრულებამდე და მაშინ ჩემბერლენს შეძლება მიეცემა თავისის მოთხოვნილებათა ასრულება უპრძანოს ხოლმე.

**ტოკიო.** იუწყებიან, რომ ლიხუნგჩანგი 22 სექტემბერს ტიან-ძინიდგან პეკინში წავიდა მდინარითაო. თან მას რუსეთის ჯარის კაცნი ახლავან.

**ვაშინგტონი.** პეკინიდან დეპეშა იუწყება, რომ იაპონიის ჯარი უკვე შეუდგა პეკინიდგან გასვლასაო. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ იაპონიის ნახევარი ჯარი იაპონიაში დაბრუნდებაო. ამბობენ, რომ რკინის გზის იმ მატარებლებში, რომლითაც იაპონიის ჯარი მიდიოდა, დიდ-ძალი ფული იყოო, მაგრამ იაპონელები აცხადებენ, რომ მხოლოდ საომარი მასალა იყოო.—ინგლისის ჯარმა შეიპყრო პეკინში ჩინელები, რომელნიც „დიდ მუშტს“ საომარ მასალასა ჰყიდდნენ.—ამერიკელებმა პეკინის აღკრძალულ ნაწილში გადმოიღეს ფაიფურის კოლექცია იმპერატორისა, მაგრამ გასაძარცვავად-კი არა, არამედ დასათვალიერებლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.